საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Mandatory, Procedural Issues and Ethics Commission

N 8531-02
17/09/2020

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან ონიანს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მესამე პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ქალაქ რუსთავში, უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე ინიციატივას:

ჟ. შარტავას ბიუსტის მიმდებარედ არსებულ ქუჩას, რომელიც მე-7 და მე-7 ა მიკრო/რაიონებს შორის მდებარეობს და ერთგვარი გმაყოფია ამ მიკრო რაიონებისა, მიენიჭოს აფხაზეთის ქუჩის სახელი.

აღნიშნული ინიციატივა განპირობებულია იმ ეროვნული მოტივით, სულიერი შემართებით და ისტორიული მეხსიერებით, რომელიც მკაფიოდ ხაზს უსვამს და ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის განუყოფელი ნაწილია აფხაზეთი. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ქუჩის სახელდება, კიდევ ერთხელ იქნება მადლიერებისა და პატივისცემის

გამოხატულება საქართველოს პირველი ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას მიმართ და ამავდროულად, ჩვენი გმირების სახელის უკვდავსაყოფად, რომელთაც ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შესწირეს სიცოცხლე.

სწორედ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივარ ინიცირებით, ქალაქ რუსთავში მე-7 და მე-7ა მიკრო/რაიონების გამყოფ ქუჩას, მიენიჭოს **აფხაზეთის ქუჩის** სახელი.

ამირან ჯანჯღავა

ს. ჯანჯღავა

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო